

სახანძრო 2020

1) დგმ-ს რომელ მოწყობილობებზეა დასაშვები შედუღების და სხვა ცეცხლსაშიში სამუშაოების ჩატარება აირჩიე ერთი:

- a. მხოლოდ ძირითად საშუალებებზე
- b. მოწყობილობებზე რომელთა გატანა შეუძლებელია ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებების გატარების შემდეგ
- c. აკრძალულია ყველა მოწყობილობაზე

The correct answer is: მოწყობილობებზე რომელთა გატანა შეუძლებელია ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებების გატარების შემდეგ

2) როგორ უნდა იყოს აღჭურვილი ენერგოსაწარმოები, სახანძრო უსაფრთხოების ნორმატიულ-ტექნიკური მოთხოვნების შესაბამისად? აირჩიე ერთი:

- a. ხანძარსაქრობი წყლის ქსელით. ხანძრის აღმოჩენის და ქრობის აპარატებით
- b. სავენტილაციო კამერებით და არხებით

The correct answer is: ხანძარსაქრობი წყლის ქსელით. ხანძრის აღმოჩენის და ქრობის აპარატებით

3) ტრანსფორმატორზე ან ზეთიან ამომრთველზე ხანძრის შემთხვევაში აკრძალულია აირჩიე ერთი:

- a. ტრანსფორმატორი უნდა გაითიშოს ყველა ძაბვის მხრიდან და დამიწდეს
- b. ტრანსფორმატორი უნდა გამოირთოს მაღალი ძაბვის მხრიდან
- c. გამოიშვას ზეთი კორპუსიდან რადგან ამან შეიძლება გამოიწვიოს ცეცხლის მოდება გრაგნილზე და გაართულოს ხანძრის ქრობა
- d. სახანძრო დაცვის გამოძახება და შემდეგ ხანძრის ქრობის ოპერატიული გეგმის მიხედვით მოქმედება

The correct answer is: გამოიშვას ზეთი კორპუსიდან რადგან ამან შეიძლება გამოიწვიოს ცეცხლის მოდება გრაგნილზე და გაართულოს ხანძრის ქრობა

4) ვინ ითვლება ენერგოსაწარმოში, ხანძრის ქრობის ხელმძღვანელად სახანძრო ქვედანაყოფის მისვლამდე? აირჩიე ერთი:

- a. ნებყოფილობითი სახანძრო რაზმეულის წევრი
- b. ცვლაში თანამდებობით უფროსი (ქვესადგურის მორიგე)

The correct answer is: ცვლაში თანამდებობით უფროსი (ქვესადგურის მორიგე)

5) სახანძრო დანაყოფის მისვლისთანავე ცვლის უფროსი ან დისპეტჩერი ვალდებულია ხანძრის ქრობის ხელმძღვანელობა გადააბაროს სახანძრო დანაყოფს: აირჩიე ერთი:

- a. წერილობითი ნებართვის გაცემის გარეშე
- b. წერილობითი ნებართვის გაცემით

The correct answer is: წერილობითი ნებართვის გაცემით

6) ვინ არის პასუხისმგებელი ენერგეტიკულ საწარმოებში ხანძარსაწინააღმდეგო მდგომარეობაზე? აირჩიე ერთი:

- a. ნებყოფილობითი სახანძრო რაზმეულის წევრი
- b. ამ საწარმოს ხელმძღვანელი

The correct answer is: ამ საწარმოს ხელმძღვანელი

7) ვინ არის პასუხისმგებელი პირი ცალკეული საამქროების, ლაბორატორიების, სახელოსნოების, საწყობების და დამხმარე ნაგებობათა სახანძრო უსაფრთხოებაზე? აირჩიე ერთი:

- a. საწარმოს ხელმძღვანელი
- b. ამ სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელები ან პირი, რომელიც ასრულებს მის მოვალეობას
- c. სახანძრო რაზმეულის წევრი

The correct answer is: ამ სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელები ან პირი, რომელიც ასრულებს მის მოვალეობას

8) რა პერიოდულობით მოწმდება ხანძარსაწინააღმდეგო ინსტრუქციები?

- a. წელიწადში ერთხელ
- b. წელიწადში ორჯერ
- c. სამ წელიწადში ერთხელ

The correct answer is: სამ წელიწადში ერთხელ

9) ვინ ატარებს შესავალ ინსტრუქტაჟს სახანძრო უსაფრთხოების წესებში?

აირჩიე ერთი:

a. ობიექტის სახანძრო დაცვის სპეციალისტი, მისი არყოფნის შემთხვევაში საწარმოს ხელმძღვანელის ბრძანებით დანიშნული ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი

b. საწარმოს მთავარი ინჟინერი

The correct answer is: ობიექტის სახანძრო დაცვის სპეციალისტი, მისი არყოფნის შემთხვევაში საწარმოს ხელმძღვანელის ბრძანებით დანიშნული ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი

10) ვინ ატარებს სახანძრო უსაფრთხოების პირველად, განმეორებით და არაგეგმიურ ინსტრუქტაჟს? აირჩიე ერთი:

a. პირი, რომელიც პასუხისმგებელია საამქროს, (საწარმოო უბნის, სახელოსნოს ლაბორატორიის) სახანძროუსაფრთხოებაზე

b. რაიონის სახანძრო რაზმის სპეციალისტი

c. საწარმოს მთავარი ინჟინერი

The correct answer is: პირი, რომელიც პასუხისმგებელია საამქროს, (საწარმოო უბნის, სახელოსნოს ლაბორატორიის) სახანძროუსაფრთხოებაზე

11) რა პერიოდულობით უნდა ხდებოდეს დახურული გამანაწილებელი მოწყობილობების სათავსოებისა და დერეფნების დასუფთავება? აირჩიე ერთი:

a. არანაკლებ წელიწადში ერთხელ

b. არანაკლებ 2 წელიწადში ერთხელ

c. არანაკლებ 6 თვეში ერთხელ

The correct answer is: არანაკლებ წელიწადში ერთხელ

12) რა უმცირეს დასაშვებ მანძილზე უნდა იყოს საკაბელო ნაგებობებში გასასვლელების მაჩვენებელი მონიშვნები? არანაკლებ 30 მ არანაკლებ

25 მ

c. არანაკლებ 50 მ

The correct answer is: არანაკლებ 50 მ

13) რა პერიოდულობით უნდა მოწმდებოდეს სადრენაჟო მოწყობილობა, რომელიც უზრუნველყოფს წყლის გატარებას ან მის ავტომატურ ამოტუმბვას? აირჩიე ერთი:

- a. კვარტალში ერთხელ
- b. თვეში ერთხელ
- c. ექვს თვეში ერთხელ

The correct answer is: კვარტალში ერთხელ

14) ვინ განსაზღვრავს ენერგეტიკული საწარმოსათვის ხანძრის ქრობისას ტექნიკურ საშუალებათა გამართული მდგომარეობის შემოწმების წესს? აირჩიე ერთი:

- a. უსაფრთხოების ტექნიკის ინჟინერი
- b. ენერგეტიკული საწარმოს ხელმძღვანელი პირი
- c. ენერგეტიკული საწარმოს ნებაყოფილობითი სახანძრო რაზმეულის ხელმძღვანელი

The correct answer is: ენერგეტიკული საწარმოს ხელმძღვანელი პირი

15) ვინ ატარებს შესავალ ინსტრუქტაჟს ხანძარსაწინააღმდეგო დაცვაში?

- a. საობიექტო სახანძრო დაცვის სპეციალისტი, მისი არყოფნის შემთხვევაში, ბრძანებით დანიშნული ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი ან სტრუქტურული ქვედანაყოფის უფროსი, რომელიც იღებს ახალ მუშაკს.
- b. უსაფრთხოების ტექნიკის ინჟინერი

The correct answer is: საობიექტო სახანძრო დაცვის სპეციალისტი, მისი არყოფნის შემთხვევაში, ბრძანებით დანიშნული ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი ან სტრუქტურული ქვედანაყოფის უფროსი, რომელიც იღებს ახალ მუშაკს.

16) აუცილებელია თუ არა, პირველადი, განმეორებითი და არაგეგმიური ინსტრუქტაჟის ჩატარება ხანძარსაწინააღმდეგო დაცვაში, სამუშაო ადგილზე, როცა მუშაკი გადადის იმავე ორგანიზაციის ერთი საამქროდან სხვა საამქროში? აუცილებელია არ არის აუცილებელი

The correct answer is: აუცილებელია

17) როდის არის საჭირო ხანძრის ქრობის ოპერატიული გეგმის ხელმეორედ დამტკიცება ენერგეტიკულ საწარმოში? აირჩიე ერთი:

- a. ენერგეტიკული ობიექტის ხელმძღვანელის შეცვლისას. სახანძრო დაცვის გარნიზონის უფროსის შეცვლისას
- b. ობიექტზე ხანძრის ქრობისას საჭირო წყლის ავზების ადგილის შეცვლისას.

The correct answer is: ენერგეტიკული ობიექტის ხელმძღვანელის შეცვლისას. სახანძრო დაცვის გარნიზონის უფროსის შეცვლისას

18) რა რაოდენობის საცხები მასალის შენახვაა ნებადართული საამქროებში ან სამუშაო ადგილებში? აირჩიე ერთი:

- a. სამუშაოების მოცულობიდან გამომდინარე
- b. მხოლოდ ერთი ცვლისათვის საჭირო რაოდენობა
- c. მხოლოდ ერთი სამუშაო კვირის მარაგი

The correct answer is: მხოლოდ ერთი ცვლისათვის საჭირო რაოდენობა

19) რა მინიმალური სიგანე უნდა ჰქონდეს ქიმიური ლაბორატორიული სათავსოების კარს?

აირჩიე ერთი:

- a. 0,8 მ
- b. 1,5 მ
- c. 1,0 მ

The correct answer is: 1,0 მ

20) ენერგობიექტზე ხანძრის დროს ავტოტრანსპორტის დაყენების ადგილი უნდა იყოს უზრუნველყოფილი საბუქსირო ტროსებით: აირჩიე ერთი:

- a. 10 მექანიზმზე 1 ცალი
- b. 3 მექანიზმზე 1 ცალი
- c. 5 მექანიზმზე 1 ცალი

The correct answer is: 10 მექანიზმზე 1 ცალი

21) დასაშვებია თუ არა, შენობებში, სადაც განთავსებულია ავტოტრანსპორტი, ძრავების გათბობა ღია ცეცხლით? აირჩიე ერთი:

- a. დასაშვებია, თუ ამ შენობაში იმყოფება მხოლოდ 1 ავტომანქანა
- b. დასაშვებია, თუ ავტომობილს უტარდება რემონტი
- c. დაუშვებელია ყველა შემთხვევაში

The correct answer is: დაუშვებელია ყველა შემთხვევაში

22) აკრძალულია, თუ არა, სპეციალურად მოწყობილ ავტოსახელოსნოებში ავტოსატრანსპორტო საშუალებების რემონტი თუ მანქანის ავზში ასხია საწვავი? აირჩიე ერთი:

- a. აკრძალულია
- b. არ არის აკრძალული

The correct answer is: აკრძალულია

23) დახურულ გამანაწილებელ მოწყობილობაში ელექტროტექნიკური მოწყობილობის ჭუჭყისა და ნალექისაგან გასაწმენდად შეიძლება თუ არა გამოყენებული იქნას წვადი სითხეები (მაგ: ბენზინი)? აირჩიე ერთი:

- a. წვადი სითხეების გამოყენება დაუშვებელია
- b. შეიძლება, თუ წვადი სითხის რაოდენობა არ აღემატება 1 ლიტრს, ერთჯერადი მოხმარებისას

The correct answer is: შეიძლება, თუ წვადი სითხის რაოდენობა არ აღემატება 1 ლიტრს, ერთჯერადი მოხმარებისას

24) დ.გ.მ.-ში კაბელების უჯრედებთან და სხვა მოწყობილობებთან მიყვანის ადგილს უნდა ჰქონდეს უწვადი შემჭიდროვება, ხანძარმედეგობით ... აირჩიე ერთი: a. 45 წთ

- b. 1 სთ
- c. 30 წთ

The correct answer is: 45 წთ

25) სად უნდა განლაგდეს ხანძრის ქრობის პირველადი საშუალებები დ.გ.მ.-ში? აირჩიე ერთი:

- a. დ.გ.მ.-ის შესასვლელთან
- b. კორიდორებში
- c. სათავსოებში

The correct answer is: დ.გ.მ.-ის შესასვლელთან

26) სად უნდა განლაგდეს დ.გ.მ.-ში ხანძრის ქრობის პირველადი საშუალებები? აირჩიე ერთი:

- a. პერსონალისათვის მოსახერხებელ სპეციალურ პოსტებზე
- b. შესასვლელთან
- c. კორიდორებში

The correct answer is: პერსონალისათვის მოსახერხებელ სპეციალურ პოსტებზე

27) რა პერიოდულობით უნდა ირეცხებოდეს გრავირებული ნაყარი ძალოვანი ტრანსფორმატორის ქვეშ? აირჩიე ერთი:

- a. წელიწადში 3-ჯერ
- b. წელიწადში ერთხელ. ძლიერი დაჭუჭყიანების დროს წელიწადში ორჯერ, გაზაფხულზე და

შემოდგომაზე

The correct answer is: წელიწადში ერთხელ. ძლიერი დაჭუჭყიანების დროს წელიწადში ორჯერ, გაზაფხულზე და შემოდგომაზე

28) აუცილებელია, თუ არა ხანძრის ქრობისას დ.გ.მ._ში დამიწდეს მოძრავი სახანძრო ტექნიკა? აირჩიე ერთი:

a. არ არის აუცილებელი, რადგან სახანძრო ტექნიკას ყოველთვის აქვს თავისი სტაციონალური დამიწება

b. აუცილებელია

The correct answer is: აუცილებელია

პირველადი დახმარება

2020 განახლებული

1. როდემდე უნდა გაგრძელდეს რენიმაცია როცა დაზარალებულს გუგები შევიწროებულია აქვს, მაგრამ არ აქვს გულისცემა? (თავი 2) აირჩიე ერთი:

- კანის ფერის გავარდისფერებამდე
- გარდაცვალების ნიშნების გამოკვეთამდე (კანის ფერის შეცვლა, თვალის გარსის გამაგრება, სხეულის ტემპერატურის ვარდნა)
- არაუმეტეს 5 წუთისა
- + მედკერსონალის მოსვლამდე.

2. როგორია რენიმაციის კომპლექსის ჩატარების წესი (ჩაბერვა და გულის გარეგანი მასაჟი). (თავი 2) აირჩიე ერთი:

- + თუ მაშველი მოქმედებს მარტო, მაშინ ხელოვნური სუნთქვის 2 „ჩაბერვას“ აკეთებს გულმკერდზე ყოველი 15 დაწოლის შემდეგ. თუ დახმარებას უწევს მაშველთა ჯგუფი, მაშინ 2 ჩაბერვა - გულმკერდზე 5 დაწოლის შემდეგ.
- თუ მაშველი მოქმედებს მარტო, მაშინ ხელოვნური სუნთქვის 2 „ჩაბერვას“ აკეთებს გულმკერდზე ყოველი 20 დაწოლის შემდეგ. თუ დახმარებას უწევს მაშველთა ჯგუფი, მაშინ 2 ჩაბერვა - გულმკერდზე 10 დაწოლის შემდეგ.
- იმისათვის რომ მაშველმა გააუმჯობესოს ჩასაბერი ჰაერის ხარისხი, მან წინასწარ უნდა გააკეთოს რამოდენიმე ღრმა შესუნთქვა – გამოსუნთქვა.

3. რას ნიშნავს ტერმინი „დაზარალებულის კომატოზური მდგომარეობა“? (თავი 3) აირჩიე ერთი:

- არ აქვს პულსი საძილე არტერიაზე და არ არის გრძნობაზე.
- არ არის გრძნობაზე და არ ესინჯება პულსი საძილე არტერიაზე
- არის გრძნობაზე, მაგრამ არ აქვს პულსი საძილე არტერიაზე
- + არ არის გრძნობაზე, მაგრამ აქვს პულსი საძილე არტერიაზე

4. როგორ მდგომარეობაში უნდა მოვათავსოთ კომაში მყოფი დაზარალებული, სამედიცინო პერსონალის მოსვლამდე? (თავი 3) აირჩიე

ერთი:

- a. ზურგზე მწოლიარე მხრებქვეშ და ფეხებქვეშ მაგარი ჩალიჩის დადებით
- b. ზურგზე მწოლიარე ფეხებქვეშ მაგარი ჩალიჩის დადებით
- c. ზურგზე მწოლიარე
- d. + მუცელზე მწოლიარე.

5. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან, რომელი მოქმედება უნდა ჩატარდეს პირველ რიგში არტერიული სისხლდენის დროს? (თავი 4) აირჩიე ერთი:

- a. დაედოს სისხლის შემაჩერებელი ლახტი (რეზინის ჟგუტი) (უმჯობესია „ალფა ლახტი (რეზინის ჟგუტი)“)
- b. + სისხლმარღვი თითებით ან მუშტით მიეჭიროს მის ქვეშ არსებულ ძვალს შესაბამის წერტილებში
- c. დაედოს სისხლის შემაჩერებელი ლახტი (რეზინის ჟგუტი) ჭრილობის ზევით
- d. დაედოს სისხლის შემაჩერებელი ლახტი (რეზინის ჟგუტი) ჭრილობის ქვემოთ

6. ჩამონათვალიდან რა იკრძალება პირველადი დახმარების დროს დაზარალებულის მუცლის შემავალი ჭრილობის შემთხვევაში? (თავი 7) აირჩიე ერთი:

- a. + წყლის მიცემა. გამოვარდნილი ორგანოების უკან ჩალაგება.
- b. დაზარალებულის დატოვება ზურგზე მწოლიარე ფეხებ მოხრილ მდგომარეობაში.
- c. დაზარალებულის გადაბრუნება.
- d. მედპერსონალის გამოძახება.

7. რა მდგომარეობაში უნდა იმყოფებოდეს დაზარალებული მუცლის შემავალი ჭრილობით მამშველების მოლოდინში? (თავი 7) აირჩიე ერთი:

- a. მარცხენა გვერდზე მწოლიარე, მოხრილი ფეხებით
- b. მუცელზე მწოლიარე
- c. + ზურგზე მწოლიარე მაღლა აწეული მუხლებში მოხრილი ფეხებით
- d. მხოლოდ მჯდომარე მდგომარეობაში

8. რა ქმედებების განხორციელებაა საჭირო შემთხვევის ადგილზე დამწვრობის ბუშტუკებისა და კანის მთლიანობის დარღვევისას? (თავი 8) აირჩიე ერთი:

- a. დამწვრობის ადგილი გაჩერდეს ცივი წყლის სუსტი ჭავლის ქვეშ
- b. დამწვრობის ადგილი დამუშავდეს ანტიბაქტერიული საშუალებით
- c. დამუშავების შემდეგ დამწვრობის ადგილი მსუბუქად შეიხვეს
- d. + დამწვრობის ადგილი დაიფაროს სუფთა მშრალი ქსოვილით და ზემოდან დაედოს ცივი

9. რა ქმედებებია აკრძალული შემთხვევის ადგილზე დამწვრობის დამუშავებისას? (თავი 8)

აირჩიე ერთი:

- a. დამწვრობის ადგილი დაიფაროს სუფთა მშრალი ქსოვილით.
- b. დამწვრობის ადგილზე სუფთა მშრალი ქსოვილის ზემოდან დაედოს ცივი.
- c. + დამწვრობის ადგილზე ცხიმებისა და ზეთების წასმა. დამწვრობის ბუშტუკებისა და კანის მთლიანობის დარღვევისას დამწვარი ადგილის წყლით ჩამობანა. დამწვარი ზედაპირის შეხვევა.
- d. მედპერსონალის გამოძახება.

10. რა უნდა გაკეთდეს დაზარალებულის თვალის ან ქუთუთოს ჭრილობისას პირველადი დახმარების დროს? (თავი 9) აირჩიე ერთი:

- a. + ტრავმირებულ თვალზე დაეფინოს სუფთა ხელსახოცი, დაფიქსირდეს ის სახვევით და იმავე სახვევით დაიფაროს მეორე თვალის თვალის მოძრაობის შეჩერების მიზნით., დაზარალებული მოთავსდეს ზურგზე მწოლიარე მდგომარეობაში
- b. დაზიანებულ თვალზე დაედოს ანტიბაქტერიული საფენი
- c. დაზიანებული თვალი გამოირეცხოს თბილი გადადუღებული წყლით ან მაგარი ჩაის ნაყენით
- d. დაზიანებულ თვალზე დაედოს ცივი

11. რა ქმედებებია განსახორციელებელი თვალის ან ქუთუთოების დამწვრობისას მწვავე ქიმიური ნივთიერებების მოხვედრის შემთხვევაში? (თავი 9) აირჩიე ერთი:

- a. ორივე თვალზე დავადოთ მჭიდრო სახვევი.
- b. + ფრთხილად გადწიოს ქუთუთოები თითებით და გამოირეცხოს თვალი ცივი წყლის ჭავლით ისე, რომ მან იდინოს ცხვირიდან გარე მიმართულებით.
- c. სასწრაფოდ გამოირეცხოს თვალი მწვავე ქიმიური ნივთიერებების გამანეიტრალებელი ხსნარით.
- დ. დამუშავდეს თვალი სპეციალური სპირტით.

12. რა იკრძალება პირველადი დახმარების გაწევისას თვალისა და ქუთუთოს ჭრილობის, ან მწვავე (მძაფრი) ქიმიური ნივთიერებებით დამწვრობის დროს? (თავი 9) აირჩიე ერთი:

- a. + თვალისა და ქუთუთოს ნაჩხვლეტი და ნაკვეთი ჭრილობების წყლით გაბანა მანეიტრალებელი ხსნარის გამოყენება მწვავე ნივთიერებების თვალში მოხვედრისას (მჟავა, ტუტე)
- b. თვალის გასაბანად, თბილი წყლის გამოყენება, თვალში მწვავე ნივთიერების მოხვედრისას
- c. თვალის გასაბანად, ცივი წყლის გამოყენება, თვალში მწვავე ნივთიერების მოხვედრისას

13. მიუთითეთ ქმედება, რომელიც უნდა შესრულდეს ღია მოტეხილობის დროს პირველადი დახმარების აღმოჩენის დაწყებისას. (თავი 10) აირჩიე

ერთი:

- a. გასუფთავდეს ჭრილობა დაედოს სახვევი (ბინტი, რეზინის სახვევი)
- b. დაედოს სალტე (კიდურის დასაფიქსირებელი სალტე)
- c. გასუფთავდეს ჭრილობა
- d. + დაედოს სახვევი (ბინტი, რეზინის სახვევი)

14. ჩამონათვალთაგან რა უნდა გაკეთდეს ქვედა კიდურების მოტეხილობისას თუ მათი ფიქსაცია ხდება ხელთ არსებული საშუალებებით? (თავი 10) აირჩიე ერთი:

- a. დაზარალებულის თოკებით, ღვედებით შეხვევა უნდა დაიწყოს ფეხებიდან.
- b. დაზარალებულს დავადოთ სალტეები, მოტეხილი კიდურები აუწიოთ დაახლოებით 45 გრადუსით.
- c. + აუცილებელია ფეხებს შორის ნაჭრის ჩალიჩის (გადახვეული ნაჭრის) დადება, წვივის, მენჯ-ბარძაყის ძვლებისა და მუხლის სახსრის დაფიქსირება.

15. ჩამოთვლილთაგან რა არის აკრძალული „ბაყაყისებრ“ (დაზარალებულს არ შეუძლია ფეხების მდებარეობის შეცვლა ტერფები გადაწეულია აქეთ-იქეთ, მუხლები წამოწეულია და ერთმანეთს დაცილებული) მდგომარეობაში მყოფი დაზარალებულის პირველადი დახმარებისას? (თავი 10)

- a. სასწრაფო სამედიცინო დახმარების გამოძახება.
- b. + კიდურების ფიქსირებისათვის სალტეების გამოყენება.
- ც. ციცხვისებრი საკაცეს გამოყენება.

16. რა არის მაშველის მთავარი ამოცანა, როდესაც დაზარალებული იმყოფება სიმაღლეზე? (თავი 11) აირჩიე ერთი:

- a. + რაც შეიძლება ჩქარა ჩამოიყვანოს დაზარალებული სიმაღლიდან
- b. უზრუნველყოს პირველადი დახმარების აღმოჩენა არანაკლებ 3 პირის მიერ
- c. რაც შეიძლება სწრაფად აღმოუჩინოს პირველადი დახმარება დაზარალებულს
- d. რაც შეიძლება სწრაფად აღმოუჩინოს პირველადი დახმარება დაზარალებულს სიმაღლეზე

17. ელექტროსადენის მიწასთან შეხების ადგილიდან რა რადიუსშია „ბიჯური“ ძაბვის ქვეშ მოხვედრის რისკი? (თავი 11) აირჩიე ერთი:

- a. 50 მ
- b. 25 მ
- c. + 10 მ
- დ. 20 მ

18. მიუთითეთ, როგორ უნდა მოხდეს გადაადგილება „ბიჯური“ ძაბვის მოქმედების ზონაში. (თავი 11) აირჩიე ერთი:

- a. შეტყუპებული ფეხებით ხტუნვით, როდესაც ორივე ფეხი ერთდროულად წყდება და ეხება მიწას.
- b. + „ბატის ნაბიჯით“. დიელექტრიკული ბოტებით ან კალოშებით.
- ც. გრძელი ნაბიჯის გადადგმით.
- დ. სირბილით.

19. რითი ხასიათდება ბიჯური ძაბვის ზონაში, „ბატის ნაბიჯით“ გადაადგილების ტექნიკა? (თავი 11) აირჩიე ერთი:

- a. დიელექტრიკული ბოტებით ან კალოშებით, სწრაფი ნაბიჯით.
- b. + ნაბიჯის გადადგმისას ფეხი არ უნდა მოცილდეს მიწას, ისე რომ წინა ფეხის ქუსლი მიედგას უკანა ფეხის წვერს
- c. გადაადგილება ხდება განიერი ნაბიჯებით, ამასთანავე ფეხი მიწაზე იდგმება მთელი ტერფით.
- დ. „ბატის ნაბიჯი“ ნიშნავს ბიჯური ძაბვის ზონაში სირბილით გავლას.

20. რა იკრძალება „ბიჯური“ ძაბვის მოქმედების ზონაში გადაადგილებისას? (თავი 11)

- a. გადაადგილების გასაადვილებლად გამოყენებულ იქნას იზოლირებული შტანგა.
- b. + გრძელი ნაბიჯების გადადგმა. ფეხსაცმლის ლანჩის მიწის ზედაპირიდან მოშორება. დაგდებულ სადენთან სირბილით მიახლოება
- ც. დიელექტრიკული ბოტების გამოყენება.
- დ. სამაშველო შტანგის გამოყენება.

21. რა არ დაიშვება ელექტროდენის ზემოქმედებისაგან დაზარალებულისათვის პირველადი დახმარების ჩატარებისას? (თავი 11) აირჩიე ერთი:

- a. რენიმაციის კომპლექსის დაწყება დაზარალებულის კომპატოზურ მდგომარეობაში ყოფნისას.
- b. + დაზარალებულზე შიშველი ხელით შეხება ელექტროდენის ზემოქმედებისაგან განთავისუფლებამდე
- c. მედპერსონალის გამოძახება.

22. არტერიული სისხლდენის დროს ლახტის (რეზინის ჟგუტი) დადებამდე დაზიანებული კიდური უნდა დავტოვოთ (თავი 4):

- ა. + მალა აწეულ მდგომარეობაში.
- ბ. დაშვებულ მდგომარეობაში.
- ც. კიდურის მდგომარეობას არსებითი მნიშვნელობა არ აქვს.

23. როგორ უნდა იმოქმედოს მაშველმა კიდურების ხანგრძლივი ჭყლეტის შემთხვევისას?

ა. განთავისუფლოს მიჭყლეტილი კიდურები და ამის შემდეგ დაადოს დამცავი ლახტი (რეზინის ჟგუტი).

ბ. + კიდურების განთავისუფლებამდე დაადოს დამცავი ლახტი(რეზინის ჟგუტი) და გაათავისუფლოს მიჭყლეტილი კიდურები.

ც. თანმიმდევრობას მნიშვნელობა არ აქვს.

ტენ ქ/ს

1) რომელი ღონისძიებები უზრუნველყოფს ძალოვანი ტრანსფორმატორების ხანგრძლივ და საიმედო მუშაობას? აირჩიე ერთი:

- a. დაცული უნდა იყოს ტრანსფორმატორების ცალკეული ელემენტების დატვირთვების, ძაბვისა და ტემპერატურების სიდიდეები, დადგენილი ნორმის ფარგლებში; გაციების, ძაბვის რეგულირების და სხვა ელემენტების გამართულ მდგომარეობაში შენარჩუნება; ზეთის მახასიათებლებისა და ტრანსფორმატორის იზოლაციის ნორმირებულ ზღვრებში შენარჩუნება.
- b. ხანძრის ქრობის სტაციონალური საშუალებების გამართულ მდგომარეობაში შენარჩუნება.

The correct answer is: დაცული უნდა იყოს ტრანსფორმატორების ცალკეული ელემენტების დატვირთვების, ძაბვისა და ტემპერატურების სიდიდეები, დადგენილი ნორმის ფარგლებში; გაციების, ძაბვის რეგულირების და სხვა ელემენტების გამართულ მდგომარეობაში შენარჩუნება; ზეთის მახასიათებლებისა და ტრანსფორმატორის იზოლაციის ნორმირებულ ზღვრებში შენარჩუნება.

2) რა უნდა იყოს მითითებული ერთფაზა ტრანსფორმატორების (რეაქტორების) ავზებზე? აირჩიე ერთი:

- a. სასადგურო (საქვესადგურო) ნომერი, ფაზების შესაბამისი ფერები
- b. ავზის მოცულობა.

The correct answer is: სასადგურო (საქვესადგურო) ნომერი, ფაზების შესაბამისი ფერები

3) შეიძლება, თუ არა, ძაბვის ქვეშე მყოფი ტრანსფორმატორების დატვირთვის ქვეშე ძაბვის რეგულირების მოწყობილობის ხელით (სახელურით) გადართვა?

აირჩიე ერთი:

- a. შეიძლება, თუ ტრანსფორმატორი იმყოფება უქმი სვლის რეჟიმში.
- b. დაიშვება, ენერგოსისტემის ტექნიკური ხელმძღვანელის გადაწყვეტილებით, არავტომატურ რეჟიმში დაყენება თუ ქსელში ძაბვის ცვალებადობა იმყოფება საზღვრებში, რომელიც აკმაყოფილებს ელექტროენერჯის მომხმარებლის მოთხოვნებს.
- c. არ შეიძლება.

The correct answer is: არ შეიძლება.

4) როგორ უნდა გადაწყდეს ძალოვანი ტრანსფორმატორის ჩართვა მისი შიგა დაზიანებისაგან დაცვის მოქმედებით ავტომატური გამორთვის შემთხვევაში? აირჩიე ერთი:

- a. ტექნიკური ხელმძღვანელის მიერ გარე დათვალიერების ვადის დადგენის შემდეგ.
- b. მხოლოდ დათვალიერების, გამოცდის, გაზის, ზეთის ანალიზისა და გამოვლენილი დარღვევების ლიკვიდაციის შემდეგ.
- c. მხოლოდ დათვალიერების გამოვლენილი დაცვების შემოწმებისა და გაუმართაობის აღმოფხვრის შემდეგ.

The correct answer is: მხოლოდ დათვალიერების, გამოცდის, გაზის, ზეთის ანალიზისა და გამოვლენილი დარღვევების ლიკვიდაციის შემდეგ.

5) რა პერიოდულობით უნდა ხდებოდეს ძალოვანი ტრანსფორმატორების (მაშუნტირებელი რეაქტორების) დათვალიერება გამორთვის გარეშე დანადგარებში მუდმივი მორიგე პერსონალით?

აირჩიე ერთი:

- a. დღე-ღამეში ერთჯერ- მთავარი და საკუთარი მოხმარების ტრანსფორმატორებისა და არაიშვიათად კვირაში ერთჯერ- დანარჩენისა.
- b. არანაკლებ თვეში ერთხელ.

The correct answer is: დღე-ღამეში ერთჯერ- მთავარი და საკუთარი მოხმარების ტრანსფორმატორებისა და არაიშვიათად კვირაში ერთჯერ- დანარჩენისა.

6) რა პერიოდულობით უნდა ხდებოდეს ძალოვანი ტრანსფორმატორების (მაშუნტირებელი რეაქტორების) დათვალიერება გამორთვის გარეშე დანადგარებში მუდმივი მორიგე პერსონალის გარეშე?

აირჩიე ერთი:

- a. დღე-ღამეში ერთჯერ- მთავარი და საკუთარი მოხმარების ტრანსფორმატორებისა და არაიშვიათად კვირაში ერთჯერ- დანარჩენისა.
- b. არანაკლებ თვეში ერთხელ.

The correct answer is: არანაკლებ თვეში ერთხელ.

7) რა ფერის საღებავით უნდა იყოს შეღებილი 3 კვ და ზემოთ ძაბვის გამანაწილებელი მოწყობილობის დამამიწებელი დანების სახელურები აირჩიე ერთი:

- a. შავი.
- b. მწვანე.
- c. წითელი.

The correct answer is: წითელი.

8) რა ფერის საღებავით უნდა იყოს შეღებილი დამიწების დანები გამანაწილებელ მოწყობილობაში

3კვ და ზევით

აირჩიე ერთი:

- a. შავი.
- b. წითელი.
- c. ყვითელი.
- d. მწვანე

The correct answer is: შავი.

9) სად უნდა იყოს წარწერები გამანაწილებელ მოწყობილობებში, რომლებიც აღნიშნავენ მინაერთის დანიშნულებას და სადისპეტჩერო დასახელებას) აირჩიე ერთი:

- a. კგმ-ს გამოსაგორებელ ელემენტებზე.
- b. კგმ-ს კარადების დამცავ საფარებზე.
- c. კგმ-ის წინასახესა და შიგა ნაწილებზე, შემკრებ კარადებზე. დგმ-ის კარებებზე და კამერების შიგა კედლებზე, ღგმ-ის დანადგარებზე.

The correct answer is: კგმ-ის წინასახესა და შიგა ნაწილებზე, შემკრებ კარადებზე. დგმ-ის კარებებზე და კამერების შიგა კედლებზე, ღგმ-ის დანადგარებზე.

10) გამანაწილებელი მოწყობილობის დანადგარების დათვალიერება ქსელიდან გამოურთავად, ობიექტებზე მუდმივი მორიგე პერსონალით, უნდა განხორციელდეს არაიმვიათად ვიდრე . . .

აირჩიე ერთი:

- a. დღე-ღამეში ერთხელ.
- b. კვირაში ერთხელ.

c. კვარტალში ერთხელ.

d. თვეში ერთჯერ

The correct answer is: დღე-ღამეში ერთხელ.

11) გამანაწილებელი მოწყობილობის დანადგარების დათვალიერება ქსელიდან გამორთავად, ობიექტებზე მუდმივი მორიგე პერსონალის არყოფნისას, უნდა განხორციელდეს არაიშვიათად ვიდრე.... . . აირჩიე ერთი:

a. კვარტალში ერთხელ.

b. კვირაში ერთხელ.

c. თვეში ერთხელ.

d. დღე-ღამეში ერთხელ.

The correct answer is: თვეში ერთხელ.

12) რომელი წარწერები უნდა იყოს სააკუმულატორო სათავსოების კარებებზე?

აირჩიე ერთი:

a. „საკუმულატორო“. „ცეცხლსაშიშია“. „მოწვევა აკრძალულია“. b.

„სდექ ძაბვა“.

c. „ცეცხლით არ შეხვიდე“.

The correct answer is: „საკუმულატორო“. „ცეცხლსაშიშია“. „მოწვევა აკრძალულია“.

13) რომელ დოკუმენტში უნდა დაფიქსირდეს სდა პანელებში გასაღებების, ნაფენების და სხვა სამარჯვებით შესრულებული გადართვების ოპერაციები? აირჩიე ერთი:

a. სარელო დაცვისა და ავტომატიკის ჟურნალებში.

b. ოპერატიულ ჟურნალში.

c. გადამრთველი მოწყობილობების მდგომარეობის ცხრილები შესაბამისი რეჟიმებისათვის.

d. სარელო დაცვისა და ავტომატიკის დანაყენების რუკებში.

The correct answer is: ოპერატიულ ჟურნალში.

14) ელექტროდანადგარების რომელი ნაწილები უნდა დამიწდეს ან დანულდეს?

აირჩიე ერთი:

- a. ყველა ნაწილი.
- b. ელექტროდანადგარის ყველა ნაწილი, რომელიც მუშაობის ნორმალურ რეჟიმში არის ძაბვის ქვეშ.
- c. ყველა მეტალური ნაწილი, რომელიც შეიძლება აღმოჩნდეს ძაბვის ქვეშ იზოლაციის დარღვევის შემდეგ.

The correct answer is: ყველა მეტალური ნაწილი, რომელიც შეიძლება აღმოჩნდეს ძაბვის ქვეშ იზოლაციის დარღვევის შემდეგ.

15) როგორ უნდა დავამიწოთ დანადგარის რამდენიმე ელემენტი ერთ დამამიწებელზე?

აირჩიე ერთი:

- a. 1000 ვ-მდე ძაბვის დანადგარების მიერთება ნებადართულია ჩაერთოს მიმდევრობით, ხოლო 1000 ვ-ს ზემოთ მხოლოდ პარალელურად.
- b. პარალელურად _ ყოველი ცალკეული ელემენტი მიუერთდება დამამიწებელს ცალკე გამტარის საშუალებით.
- c. მიმდევრობით _ შეერთება დამამიწებელი გამტარებით დანადგარის რამოდენიმე ელემენტი და ეს წრედი მიუერთდება დამამიწებელს.

The correct answer is: პარალელურად _ ყოველი ცალკეული ელემენტი მიუერთდება დამამიწებელს ცალკე გამტარის საშუალებით.

16) როგორი შეფერილობა უნდა ჰქონდეს ღიად გაყვანილ დამამიწებელ გამტარებს?

აირჩიე ერთი:

- a. წითელი.
- b. არ იღებება.
- c. შავი.
- d. მწვანე.
- e. ყვითელი.

The correct answer is: შავი.

17) განათების როგორი სახეობები გამოიყენება ენერგობიოტეხნიკებზე დადგენილი მოთხოვნების განათებულობის უზრუნველსაყოფად? აირჩიე ერთი:

- a. დამხმარე.
- b. მუშა, ავარიული.

The correct answer is: მუშა, ავარიული.

18) რით განსხვავდება მუშა განათების სანათები ავარიულისაგან?

აირჩიე ერთი:

- a. განლაგების ადგილით.
- b. ნიშნებით ან შეფერილობით.
- c. ზომებით.

The correct answer is: ნიშნებით ან შეფერილობით.

19) ელექტროდანადგარებში, რომელი გადართვები განეკუთვნება რთულს?

აირჩიე ერთი:

- a. გადართვები, რომლებიც დროშია გაწელილი და მოითხოვს საკომუტაციო აპარატებით, დამამიწებელი გამთიშველებით, სარელეო დაცვის, ავარიასაწინააღმდეგო და რეჟიმული ავტომატიკის მოწყობილობებით ოპერაციათა თანმიმდევრობის სპეციალურ ცოდნას.
- b. რომლებიც მოითხოვს საკომუტაციო აპარატებით, დამამიწებელი გამთიშველებით, სარელეო დაცვის, ავარიასაწინააღმდეგო და რეჟიმული ავტომატიკის მოწყობილობებით ოპერაციათა მკაცრ თანმიმდევრობას.
- c. საკომუტაციო აპარატებით, დამამიწებელი გამთიშველებით, სარელეო დაცვის, ავარიასაწინააღმდეგო და რეჟიმული ავტომატიკის მოწყობილობებით იშვიათად შესასრულებელი ოპერაციები.

The correct answer is: რომლებიც მოითხოვს საკომუტაციო აპარატებით, დამამიწებელი გამთიშველებით, სარელეო დაცვის, ავარიასაწინააღმდეგო და რეჟიმული ავტომატიკის მოწყობილობებით ოპერაციათა მკაცრ თანმიმდევრობას.

20) რომელი დოკუმენტების შესაბამისად უნდა შესრულდეს ყველა

გადართვები ელექტროსადგურებსა და ქვესადგურებში? აირჩიე ერთი:

- a. ენერგობიოტეხნიკებზე გადართვების საწარმოებლად ტექნიკური ხელმძღვანელის განკარგულება.
- b. გადართვების წარმოების ინსტრუქციები.

c. ტეწ.

The correct answer is: გადართვების წარმოების ინსტრუქციები.

21) რა შემთხვევაშია დასაშვები ელექტროდანადგარებში გადართვების წარმოება ზემდგომი ოპერატიულ-სადისპეტჩერო პერსონალის განკარგულების გარეშე, მაგრამ მისთვის შემდგომი შეტყობინებით? აირჩიე ერთი:

- a. უბედური შემთხვევებისას. სტიქიური უბედურებისას. ხანძრისას. ავარიისას.
- b. რეზერვში მყოფი დანადგარის გამოცდისას.
- c. მოწყობილობის რემონტიდან მარჯაფში გაყვანისას.

The correct answer is: უბედური შემთხვევებისას. სტიქიური უბედურებისას. ხანძრისას. ავარიისას.

22) რა შემთხვევაში აქვს უფლება გადართვების უშუალოდ შემსრულებელ ოპერატიულ შემსრულებელ პერსონალს, დამოუკიდებლად გამოიყვანოს მუშაობიდან უსაფრთხოების ბლოკირებები? აირჩიე ერთი:

- a. ყველა შემთხვევაში დაუშვებელია.
- b. თუ პერსონალმა გამოავლინა ბლოკირების გაუმართაობა.
- c. თუ ეს ბლოკირებები ხელს უშლის გადართვების წარმოებას.

The correct answer is: ყველა შემთხვევაში დაუშვებელია.

23) აუცილებელია თუ არა ძლიერი ქარის დროს (**12-15 მ/წმ**) ძალოვანი ტრანსფორმატორის გაცივების ვენტილატორების გამორთვა აირჩიე ერთი:

- a. არა
- b. კი

The correct answer is: კი

24) ქვესადგურში რიგითი დათვალიერების დროს ყურადღება ექცევა მხოლოდ მუშაობაში მყოფ მოწყობილობებს; (რეზერვში მყოფი მოწყობილობების დათვალიერება არ არის აუცილებელი).

აირჩიე ერთი:

- a. კი;
- b. არა

The correct answer is: არა

25) ტრ-რის ქსელიდან გამორთვისას ჯერ უნდა გამოირთოს ამომრთველი მაღალი ძაბვის მხარეს, შემდეგ კი ამომრთველები დაბალი და საშუალო ძაბვის მხარეს. აირჩიე ერთი:

a. არა

b. კი;

The correct answer is: არა

26) პერსონალი, რომელიც უშუალოდ ზემოქმედებს ენერგოდანადგარების მართვის ორგანოებზე და ახორციელებს ელექტრო მოწყობილობების მართვასა და მომსახურებას ცვლაში, განეკუთვნება:

აირჩიე ერთი:

a. ოპერატიულ-დისპეტჩერულ პერსონალს

b. ოპერატიულ პერსონალს;

c. ოპერატიულ-სარემონტო პერსონალს;

The correct answer is: ოპერატიულ პერსონალს;

27) ძალოვანი ტრ-რის გამფრქვევი მილიდან მოხდა ზეთის ამოფრქვევა, ტრ-რს გაუჩნდა ხანძარი, ტრ-რი ქსელიდან დაცვებით არ გამოირთო; მორიგის მოქმედებაა: აირჩიე ერთი:

a. შეატყობინოს დისპეტჩერს და დაელოდოს მის განკარგულებას

b. გამორთოს ტრ-რი ქსელიდან, შემდეგ შეატყობინოს დისპეტჩერს

The correct answer is: გამორთოს ტრ-რი ქსელიდან, შემდეგ შეატყობინოს დისპეტჩერს

28) ძალოვანი ტრ-რის ტემპერატურის კონტროლი უნდა მოხდეს:

აირჩიე ერთი:

a. თერმოსიგნალიზატორის ჩვენების მიხედვით

b. ტრ-რის კორპუსზე ხელის შეხებით

c. ჰაერგამშრობში სილიკაგელის ფერის მიხედვით

The correct answer is: თერმოსიგნალიზატორის ჩვენების მიხედვით

29) აუცილებელია თუ არა ქვესადგურში ცვლის გადაბარების დროს ზეთსავსე მოწყობილობებში ზეთის დონეებისა და ბრჯენების შემოწმება: აირჩიე ერთი:

- a. კი;
- b. არა

The correct answer is: კი;

30) რომელი მოწყობილობით ხდება მოკლდ შერთვის დენების გამორთვა:

აირჩიე ერთი:

- a. მოკლედჩამრთველი
- b. ამომრთველი;
- c. გამთიშველი;

The correct answer is: ამომრთველი;

31) გადამეტაბვებისაგან დასაცავად გამოიყენება:

აირჩიე ერთი:

- a. მცველი;
- b. გამთიშველი
- c. მცლეელი;

The correct answer is: მცლეელი;

32) გამთიშველის გამორთვისას, მისი კონტაქტების გახსნის დროს, გაჩნდა რკალი;

ამ შემთხვევაში: აირჩიე ერთი:

- a. დავაბრუნოთ გამთიშველის კონტაქტები შეკრულ მდგომარეობაში და შევამოწმოთ ოპერაციის სისწორე.
- b. რაც შეიძლება ჩქარა უნდა დამთავრდეს გამთიშველის გახსნის ოპერაცია;

The correct answer is: დავაბრუნოთ გამთიშველის კონტაქტები შეკრულ მდგომარეობაში და შევამოწმოთ ოპერაციის სისწორე.

33) სააკუმულატორო ბატარეა კვებავს:

აირჩიე ერთი:

- a. ქვესადგურის ოპერატიულ წრედებს;
- b. ქვესადგურის საკუთარი მოხმარების წრედებს.

The correct answer is: ქვესადგურის ოპერატიულ წრედებს;

34) პასუხისმგებელია თუ არა ოპერატიული პერსონალი ელექტრომოწყობილობების სწორ მომსახურებაზე და მათ უავარიო მუშაობაზე: აირჩიე ერთი:

- a. კი;
- b. არა

The correct answer is: კი;

35) ევალუა თუ არა ოპერატიულ პერსონალს მისდამი დაქვემდებარებულ ობიექტზე სისუფთავისა და წესრიგის დაცვა:

აირჩიე ერთი:

- a. კი;
- b. არა

The correct answer is: კი;

36) რომელი მოწყობილობა მიეკუთვნება საკომუტაციო აპარატს:

აირჩიე ერთი:

- a. ამომრთველი
- b. დენის ტრანსფორმატორი
- c. ძაბვის ტრანსფორმატორი

The correct answer is: ამომრთველი

37) სწორია თუ არა განმარტება – ქვესადგური არის ელექტროდანადგარი, სადაც ხდება ელექტროენერგიის გამომუშავება, გარდაქმნა და განაწილება. აირჩიე ერთი:

- a. კი;

b. არა

The correct answer is: არა

38) ნებადართულია თუ არა ქვესადგურში ავარიის ლიკვიდაციის დროს მორიგეობის ცვლის გადაბარება: აირჩიე ერთი:

a. არა

b. კი;

The correct answer is: არა

უტწ

1) მინიმუმ რამდენი წევრისაგან უნდა შედგებოდეს ბრიგადა? (მუხლი 2. პ 1)

აირჩიე ერთი:

- a. არანაკლებ ხუთი წევრის სამუშაოს მწარმოებლის ან მეთვალყურის ჩათვლით
- b. არანაკლებ ორი წევრის სამუშაოს მწარმოებლის ან მეთვალყურის ჩათვლით

The correct answer is: არანაკლებ ორი წევრის სამუშაოს მწარმოებლის ან მეთვალყურის ჩათვლით

2) განწეს-დაშვება არის დავალება სამუშაოს წარმოებაზე, გაფორმებული დადგენილი ფორმით სპეციალურ ბლანკზე, რომლითაც განსაზღვრული არ არის(მ.23.7) აირჩიე ერთი:

- a. სამუშაოს შინაარსი
- b. სამუშაოს დაწყებისა და დამთავრების დრო
- c. ელექტროდანადგარის მუშა რეჟიმის წარმართვა
- d. სამუშაოს ადგილი

The correct answer is: ელექტროდანადგარის მუშა რეჟიმის წარმართვა

3) განწეს-დაშვება არის დავალება სამუშაოს წარმოებაზე, გაფორმებული დადგენილი ფორმით სპეციალურ ბლანკზე, რომლითაც განსაზღვრული არ არის(მ.23.7) აირჩიე ერთი:

- a. სხვა სამუშაო ადგილზე გადაყვანა
- b. უსაფრთხოდ ჩატარების პირობები
- c. სამუშაოს უსაფრთხოდ შესრულებაზე პასუხისმგებელი პირების დანიშვნა
- d. სამუშაოს ხელმძღვანელთა ტელეფონის ნომრები

The correct answer is: სამუშაოს ხელმძღვანელთა ტელეფონის ნომრები

4) მოქმედი წესების თანახმად ელექტრული ველის გავლენის ზონად ითვლება: (მუხლი 2. პ. 25)

აირჩიე ერთი:

- a. სივრცე, რომელშიც დამაბულობა აღემატება 10 კვ/მ-ს
- b. სივრცე, რომელშიც დამაბულობა აღემატება 5 კვ/მ-ს
- c. სივრცე, რომელშიც დამაბულობა აღემატება 15 კვ/მ-ს

The correct answer is: სივრცე, რომელშიც დამაბულობა აღემატება 5 კვ/მ-ს

5) ქვემოთ ჩამოთვლილი ელექტრული აპარატებიდან რომელი არ განეკუთვნება საკომუტაციო აპარატებს? (მუხლი **2. პ. 46**) აირჩიე ერთი:

- a. ამომრთველი, მაცალკეებელი
- b. რეაქტორი. ძაბვის ტრანსფორმატორი
- c. გამთიშველი, ავტომატი, დატვირთვის ამომრთველი
- d. პაკეტური ამომრთველი, მცველი

The correct answer is: რეაქტორი. ძაბვის ტრანსფორმატორი

6) რამდენი მეტრია დაცვის ზონა **1-20** კვ-მდე საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზისათვის ? (მუხლი **2. პ. 28**)

აირჩიე ერთი:

- a. 15 მ
- b. 10 მ
- c. 25 მ
- d. 20 მ

The correct answer is: 10 მ

7) რამდენი მეტრია დაცვის ზონა **35** კვ საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზისათვის ? (მუხლი **2. პ. 28**)

აირჩიე ერთი:

- a. 15 მ
- b. 25 მ
- c. 10 მ
- d. 20 მ

The correct answer is: 15 მ

8) რამდენი მეტრია დაცვის ზონა 110 კვ საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზისათვის ? (მუხლი 2. პ. 28)

აირჩიე ერთი:

- a. 15 მ
- b. 25 მ
- c. 20 მ
- d. 10 მ

The correct answer is: 20 მ

9) რამდენი მეტრია საკაბელო ელექტროგადამცემი ხაზების დაცვის ზონა? (მუხლი 2. პ. 27)

აირჩიე ერთი:

- a. 6 მ
- b. 3 მ
- c. 1 მ
- d. 5 მ

The correct answer is: 1 მ

10) ვინ განეკუთვნება სარემონტო პერსონალს? (მუხლი 2. პ. 44)

აირჩიე ერთი:

- a. სპეციალურად განსწავლული და მომზადებული ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი, რომელიც ოპერატიულად ემსახურება მასზე სრული მოცულობით გაპიროვნებულ დანადგარებს
- b. პერსონალი, რომელიც უზრუნველყოფს ელექტრული მოწყობილობების ტექნიკურ მომსახურებას და რემონტს, მონტაჟს გაწყობასა და გამოცდას
- c. ცვლაში სამორიგეოდ მყოფი პირები, რომლებიც დაშვებულნი არიან ოპერატიულ მართვასა და ოპერატიულ გადართვებზე; დისპეტჩერები, ცვლის უფროსები, მორიგეები ბინაზე და მართვის ფარებზე, ოპერატიულ-გამსვლელი ბრიგადების წევრები

The correct answer is: პერსონალი, რომელიც უზრუნველყოფს ელექტრული მოწყობილობების ტექნიკურ მომსახურებას და რემონტს, მონტაჟს გაწყობასა და გამოცდას

11) რა ვადითაა ნებადართული ერთი განწესის მოქმედება რამოდენიმე ქვესადგურზე ან ერთი ქვესადგურის რამოდენიმე მინაერთზე მუშაობისას სამუშაოების რიგრიგობით შესასრულებლად?

(მ 8 კ 14)

აირჩიე ერთი:

- a. 1 დღე-ღამე
- b. 15 დღე-ღამე
- c. 30 დღე-ღამე

The correct answer is: 1 დღე-ღამე

12) ვინ უნდა გასცეს განწესი გამანაწილებელი მოწყობილობის ტერიტორიაზე განლაგებულ საჰაერო ხაზის უბანებზე სამუშაოების შესასრულებლად? (მუხლი 9 კ1)

აირჩიე ერთი:

- a. საკაბელო ხაზის მომსახურე პერსონალმა
- b. საჰაერო ხაზის მომსახურე პერსონალმა
- c. გამანაწილებელი მოწყობილობის მომსახურე პერსონალი

The correct answer is: საჰაერო ხაზის მომსახურე პერსონალმა

13) რა შემთხვევაში ეძლევა, ბოლო საყრდენზე მომუშავე სახაზო ბრიგადის სამუშაოს მწარმოებელს გამანაწილებელი მოწყობილობის გასაღები და უფლება ერთპიროვნულად მივიდეს საყრდენთან? (მუხლი 9 კ 1) აირჩიე ერთი:

- a. წესებით არაა გათვალისწინებული
- b. მოქმედი წესების დაცვით, ყველა შემთხვევაში
- c. ელექტროდანადგარებში ადგილობრივი ოპერატიული პერსონალის გარეშე

The correct answer is: ელექტროდანადგარებში ადგილობრივი ოპერატიული პერსონალის გარეშე

14) ვინ აფორმებს სახაზო ბრიგადის დაშვებას ღია გამანაწილებელი მოწყობილობის პორტალებზე და დახურულ გამანაწილებელ მოწყობილობაში მუშაობისას? (მუხლი 9 კ1) აირჩიე ერთი:

- a. საჰაერო ხაზის მომსახურე პერსონალი

- b. საკაბელო ხაზის მომსახურე პერსონალი
- c. გამანაწილებელი მოწყობილობის მომსახურე ოპერატიული ან ოპერატიულ-სარემონტო პერსონალი

The correct answer is: გამანაწილებელი მოწყობილობის მომსახურე ოპერატიული ან ოპერატიულ-სარემონტო პერსონალი

15) ვინ უნდა გასცეს განწყვიტი, გამანაწილებელი მოწყობილობის ტერიტორიაზე გამავალ საკაბელო არხებში ჩალაგებულ საკაბელო ხაზებზე მუშაობისას? (მუხლი 9 კ 2) აირჩიე ერთი:

- a. გამანაწილებელი მოწყობილობის მომსახურე პერსონალმა
- b. საჭაერო ხაზის მომსახურე პერსონალმა
- c. საკაბელო ხაზის მომსახურე პერსონალმა

The correct answer is: საკაბელო ხაზის მომსახურე პერსონალმა

16) ვინ ახორციელებს დაშვებას გამანაწილებელ მოწყობილობაში განლაგებულ ბოლო ქურობებზე და ჩამაგრებებზე მუშაობისას? (მუხლი 9 კ2) აირჩიე ერთი:

- a. საკაბელო ხაზის მომსახურე პერსონალი გამანაწილებელი მოწყობილობის მომსახურე ოპერატიული ან ოპერატიულ-სარემონტო პერსონალის წინასწარი შეტყობინებით
- b. გამანაწილებელი მოწყობილობის მომსახურე პერსონალი

The correct answer is: გამანაწილებელი მოწყობილობის მომსახურე პერსონალი

17) ვინ ახორციელებს დაშვებას გამანაწილებელი მოწყობილობის ტერიტორიაზე გამავალი საკაბელო არხებში ჩალაგებულ საკაბელო ხაზებზე მუშაობისას? (მუხლი 9 კ2) აირჩიე ერთი:

- a. გამანაწილებელი მოწყობილობის მომსახურე პერსონალი
- b. საკაბელო ხაზის მომსახურე პერსონალი გამანაწილებელი მოწყობილობის მომსახურე ოპერატიული პერსონალისაგან ნებართვის მიღების შემდეგ

The correct answer is: საკაბელო ხაზის მომსახურე პერსონალი გამანაწილებელი მოწყობილობის მომსახურე ოპერატიული პერსონალისაგან ნებართვის მიღების შემდეგ

18) რა ვადითაა ნებადართული განკარგულების გაცემა? (მუხლი 11. 31.)

აირჩიე ერთი:

- a. არაუმეტეს 5 დღით
- b. არსებული წესებით განკარგულების მოქმედების ვადა არაა განსაზღვრული
- c. განკარგულებას აქვს ერთჯერადი ხასიათი და მისი მოქმედების ვადა განისაზღვრება შემსრულებელთა სამუშაო დღის ხანგრძლივობით

The correct answer is: განკარგულებას აქვს ერთჯერადი ხასიათი და მისი მოქმედების ვადა განისაზღვრება შემსრულებელთა სამუშაო დღის ხანგრძლივობით

19) ნებადართულია, თუ არა, განკარგულების ვადის გაგრძელება? (მუხლი 11 პ1)

აირჩიე ერთი:

- a. აკრძალულია
- b. ნებადართულია

The correct answer is: აკრძალულია

20) ვის ეძლევა სამუშაოების შესრულებაზე განკარგულება? (მუხლი 11 პ2; პ3)

აირჩიე ერთი:

- a. სამუშაოს მწარმოებელს და დამშვევს ან სამუშაო ადგილის მომზადებასა და დაშვებაზე ნებართვის გამცემ პირს
- b. განწესის გამცემს
- c. მ/ც მენეჯერს
- d. მთავარ ინჟინერს

The correct answer is: სამუშაოს მწარმოებელს და დამშვევს ან სამუშაო ადგილის მომზადებასა და დაშვებაზე ნებართვის გამცემ პირს

21) ვინ განეკუთვნება ოპერატიულ-სარემონტო პერსონალს? (მუხლი 2. პ. 43)

აირჩიე ერთი:

- a. ინჟინრები, ტექნიკოსები, ოსტატები, მუშები, რომლებიც აწარმოებენ ელექტროსადგურებისა და ქვესადგურების ელექტროდანადგარების, სგხე-ბის, სკეხ-ბის, სარელეო დაცვის, ავტომატიკის, მზომი ხელსაწყოების, მეხდაცვისა და იზოლაციის, დისპეტჩერული და ტექნოლოგიური მართვის საშუალებების საექსპლუატაციო-სარემონტო მომსახურებას და გამართვას

b. სპეციალურად განსწავლული და მომზადებული სარემონტო პერსონალი, რომელიც ოპერატიულად ემსახურება მასზე სრული მოცულობით გაპიროვნებულ დანადგარებს **The correct answer is:** სპეციალურად განსწავლული და მომზადებული სარემონტო პერსონალი, რომელიც ოპერატიულად ემსახურება მასზე სრული მოცულობით გაპიროვნებულ დანადგარებს

22) მოქმედი წესებით ნებადართულია თუ არა განკარგულებით შესასრულებელი სამუშაოები შესრულდეს განწესით? (მუხლი 11 პ6) აირჩიე ერთი:

- a. ნებადართულია გამონაკლის შემთხვევებში
- b. ნებადართულია მხოლოდ გადაუდებელი სამუშაოების შესრულებისას
- c. არ არის ნებადართული
- d. ნებადართულია ყველა შემთხვევაში

The correct answer is: ნებადართულია ყველა შემთხვევაში

23) ითვლება თუ არა 1 სთ-ზე ნაკლები ხანგრძლივობის სამუშაოები მოკლევადიან სამუშაოებად?

(მუხლი 11 პ13) აირჩიე

ერთი:

- a. დიახ
- b. არა

The correct answer is: დიახ

24) ელექტროუსაფრთხოების რომელი ჯგუფი უნდა ჰქონდეს, ბრიგადის წევრებს, რომლებიც ასრულებენ ხანმოკლე და გადაუდებელ სამუშაოებს 1000 ვოლტს ზემოთ ელექტროდანადგარებში?

(მუხლი 11 პ16) აირჩიე

ერთი:

- a. ყველა ბრიგადის წევრს სამუშაოს ხელმძღვანელის ჩათვლით უნდა ჰქონდეს ელექტროუსაფრთხოების არანაკლებ IV საკვალიფიკაციო ჯგუფი
- b. უფროს პირს ოპერატიულ ან ოპერატიულ-სარემონტო პერსონალის შემადგენლობიდან, რომელიც ასრულებს სამუშაოს ან ახორციელებს ზედამხედველობას, უნდა ჰქონდეს ელექტროუსაფრთხოების არანაკლებ IV საკვალიფიკაციო ჯგუფი, დანარჩენ ბრიგადის წევრებს III საკვალიფიკაციო ჯგუფი

The correct answer is: უფროს პირს ოპერატიულ ან ოპერატიულ-სარემონტო პერსონალის შემადგენლობიდან, რომელიც ასრულებს სამუშაოს ან ახორციელებს ზედამხედველობას, უნდა ჰქონდეს ელექტროუსაფრთხოების არანაკლებ **IV** საკვალიფიკაციო ჯგუფი, დანარჩენ ბრიგადის წევრებს **III** საკვალიფიკაციო ჯგუფი

25) ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი სამუშაოების შესრულებაა დასაშვები **1000**

ვოლტამდე ძაბვის ელექტროდანადგარებში განკარგულებით? (მუხლი **11 37**) აირჩიე ერთი:

- a. სამუშაოები გამანაწილებელი მოწყობილობის შემკრებ სალტებზე
- b. ნებისმიერი, გარდა იმ სამუშაოებისა, რომლებიც უნდა ჩატარდეს გმ-ის შემკრებ სალტებზე, გამანაწილებელ ფარებზე და ისეთ მინაერთებზე, საიდანაც ძაბვის მიწოდება შესაძლებელია შემკრებ სალტებზე
- c. სამუშაოები მიერთებებზე, რომლებიდანაც შესაძლებელია ძაბვის მიწოდება შემკრებ სალტებზე

The correct answer is: ნებისმიერი, გარდა იმ სამუშაოებისა, რომლებიც უნდა ჩატარდეს გმ-ის შემკრებ სალტებზე, გამანაწილებელ ფარებზე და ისეთ მინაერთებზე, საიდანაც ძაბვის მიწოდება შესაძლებელია შემკრებ სალტებზე

26) რა შემთხვევაში აქვს მუშაკს უსაფრთხოების **III** დაშვების ჯგუფით, სამუშაოს მწარმოებლის უფლებით, იმუშაოს განკარგულებით ერთპიროვნულად **1000** ვოლტამდე ელექტროდანადგარებში? (მუხლი **11 38**) აირჩიე ერთი:

- a. წესებით ასეთი შემთხვევები არაა გათვალისწინებული
- b. როდესაც ელექტროდანადგარი განთავსებულია ადამიანების ელექტრული დენით დაზიანების განსაკუთრებით საშიშ სათავსოებში
- c. თუ ელექტროდანადგარი განთავსებულია ადამიანების ელექტრული დენით დაზიანების ნაკლებად საშიშ სათავსოში

The correct answer is: თუ ელექტროდანადგარი განთავსებულია ადამიანების ელექტრული დენით დაზიანების ნაკლებად საშიშ სათავსოში

27) გამანაწილებელ მოწყობილობაში **2,5** მეტრამდე სიმაღლეზე კამერების გარეთ განლაგებული სანათი აპარატურის შეკეთება და მომსახურება შეიძლება შეასრულოს განკარგულებით ელექტროუსაფრთხოების არანაკლებ . . . ჯგუფის მქონე მუშაკმა.... (მ **11 38**) აირჩიე ერთი:

- a. V
- b. II

c. IV

d. III

The correct answer is: III

28) რომელი მინიმუმალური უსაფრთხოების ჯგუფის მქონე პირმა შეიძლება დაასუფთაოს **1000** ვ მაღალი ძაბვის დგმ-ის დერეფნები და სათავსოები (რომლებშიც დენგამტარი ნაწილები შემოღობილია), აგრეთვე მართვის ფარის შენობები. (მ **11** პ**8**) აირჩიე ერთი:

a. III

b. II

c. IV

The correct answer is: II

29) ღია გამანაწილებელი მოწყობილობის დასუფთავება ერთპიროვნულად განკარგულებით შეუძლია შეასრულოს მუშაკმა ელექტროუსაფრთხოების არანაკლებ (მ **11** პ**8**) აირჩიე ერთი:

a. II

b. IV

c. III

The correct answer is: III

30) რომელი მინიმუმალური უსაფრთხოების ჯგუფის მქონე პირმა შეიძლება ერთპიროვნულად, განკარგულების გამცემის ნებართვით შეასრულოს გამანაწილებელი მოწყობილობის გარეთ, **2,5** მეტრზე ზემოთ განლაგებული სანათების წმენდა და ნათურების შეცვლა? (მ **11** პ**19**) აირჩიე ერთი:

a. IV

b. II

c. III

The correct answer is: III

31) არსებული წესებით გათვალისწინებულია თუ არა სამუშაოების შესრულება განწესის ან განკარგულების გაფორმების გარეშე, მიმდინარე ექსპლუატაციის პირობებში? (მუხლი **12** პ**1**) აირჩიე ერთი:

a. დიახ

b. არა

The correct answer is: დიახ

32) ვინ განეკუთვნება ადმინისტრაციულ-ტექნიკურ პერსონალს? (ქართ. გვ. 9)

აირჩიე ერთი:

a. სპეციალურად განსწავლული და მომზადებული ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი, რომელიც ოპერატიულად ემსახურება მასზე სრული მოცულობით გაპიროვნებულ დანადგარებს

b. გაერთიანების, ფილიალების, მომსახურების ცენტრების, საამქროების, ლაბორატორიების, ელექტროქსელის რაიონებისა და უბნების განყოფილებებისა და სამსახურების ხელმძღვანელები, უფროსები, აღნიშნული პირების მოადგილეები, აგრეთვე ინჟინრები, ოსტატები, რომლებსაც ეკისრებათ ადმინისტრაციული ფუნქციები

c. ინჟინრები, ტექნიკოსები, ოსტატები, მუშები, რომლებიც აწარმოებენ ელექტროსადგურებისა და ქვესადგურების ელექტროდანადგარების, სგხე-ბის, სკეხ-ბის, სარელეო დაცვის, ავტომატიკის, მზომი ხელსაწყოების, მეხდაცვისა და იზოლაციის, დისპეტჩერული და ტექნოლოგიური მართვის საშუალებების საექსპლუატაციო-სარემონტო მომსახურებას და გამართვას

The correct answer is: გაერთიანების, ფილიალების, მომსახურების ცენტრების, საამქროების, ლაბორატორიების, ელექტროქსელის რაიონებისა და უბნების განყოფილებებისა და სამსახურების ხელმძღვანელები, უფროსები, აღნიშნული პირების მოადგილეები, აგრეთვე ინჟინრები, ოსტატები, რომლებსაც ეკისრებათ ადმინისტრაციული ფუნქციები

33) რა მოთხოვნები უნდა იყოს დაცული მიმდინარე ექსპლუატაციის პირობებში მუშაობისას? (მუხლი 12. პ.1) აირჩიე

ერთი:

a. მიმდინარე ექსპლუატაციისას მუშაობა დასაშვებია მხოლოდ 1000 ვოლტამდე ძაბვის ელექტროდანადგარებში

b. მიმდინარე ექსპლუატაციისას მუშაობა დასაშვებია მხოლოდ 1000 ვ-ს ზემოთ სეგხ-ზე ძაბვის სრული მოხსნით

c. მიმდინარე ექსპლუატაციისას მუშაობა დასაშვებია 1000 ვ-ს ზემოთ ძაბვის ელექტროდანადგარებში მხოლოდ ძაბვის სრული მოხსნისა და სამუშაო ადგილის დამიწების პირობებში

The correct answer is: მიმდინარე ექსპლუატაციისას მუშაობა დასაშვებია მხოლოდ 1000 ვოლტამდე ძაბვის ელექტროდანადგარებში

34) რომელი მინიმალური ელექტროუსაფრთხოების საკავლიფიკაციო ჯგუფი შეიძლება ჰქონდეს ორკაციანი ბრიგადის წევრს, სამუშაოს მწარმოებელის ჩათვლით? (მუხლი **13 კ2**)
აირჩიე ერთი:

- a. არანაკლებ IV ჯგუფი
- b. I ჯგუფი
- c. არანაკლებ III ჯგუფი
- d. არანაკლებ II ჯგუფი

The correct answer is: არანაკლებ III ჯგუფი

35) ბრიგადის ყოველ III ჯგუფის მქონე წევრზე შეიძლება მოდიოდეს II ჯგუფის მქონე ... (მუხლი **13 კ3.**)

აირჩიე ერთი:

- a. 2 წევრი
- b. 1 წევრი
- c. 3 წევრი

The correct answer is: 1 წევრი

36) ნებადართულია, თუ არა სარემონტო ბრიგადის შემადგენლობაში ჩართული იქნას ოპერატიული პერსონალი? (მუხლი **13. კ4.**) აირჩიე ერთი:

- a. დიახ, მხოლოდ ზემდგომი ოპერატიული პერსონალის ნებართვით
- b. დიახ, მხოლოდ ზონის უფროსის ნებართვით
- c. დიახ, მხოლოდ შესაბამისი ქვეგანყოფილების უფროსის ნებართვით
- d. არა

The correct answer is: დიახ, მხოლოდ ზემდგომი ოპერატიული პერსონალის ნებართვით

37) ვინ იძლევა ნებართვას ოპერატიული პერსონალის სარემონტო ბრიგადაში მუშაობაზე? (მუხლი **13. კ4**) აირჩიე

ერთი:

- a. მთავარი ინჟინერი
- b. ზემდგომი ოპერატიული პერსონალი

c. განწესის გამცემი პირი

The correct answer is: ზემდგომი ოპერატიული პერსონალი

38) ვის აქვს უფლება შეიტანოს ცვლილება ბრიგადის შემადგენლობაში? (მუხლი 13 პ5)

აირჩიე ერთი:

a. დამშვებს

b. სამუშაოს მწარმოებელს

c. ზემდგომ ოპერატიულ პერსონალს

d. განწესის გამცემს

The correct answer is: განწესის გამცემს

39) რა შემთხვევაში უნდა გაიცეს განწესი ხელახლა? (მუხლი 13 პ6)

აირჩიე ერთი:

a. ბრიგადის შემადგენლობის მესამედის შეცვლისას

b. დამშვების შეცვლისას

c. ბრიგადის შემადგენლობიდან 3 წევრის შეცვლისას

d. სამუშაოს ხელმძღვანელის შეცვლისას

The correct answer is: სამუშაოს ხელმძღვანელის შეცვლისას

40) რა შემთხვევაში უნდა გაიცეს განწესი ხელახლა? (მუხლი 13 პ6)

აირჩიე ერთი:

a. მეთვალყურის შეცვლისას

b. სამუშაოს მწარმოებლის შეცვლისას

c. განწესის გამცემის შეცვლისას

d. ბრიგადის შემადგენლობიდან 2 წევრის შეცვლისას

The correct answer is: სამუშაოს მწარმოებლის შეცვლისას

41) რა შემთხვევაში უნდა გაიცეს განწესი ხელახლა? (მუხლი 13 პ6)

აირჩიე ერთი:

- a. სამუშაო ადგილის მომზადებაზე და დაშვებაზე ნებართვის გამცემი პირის შეცვლისას b. დამშვების შეცვლისას
- c. ბრიგადის შემადგენლობის ნახევარზე მეტით შეცვლისას
- d. სამუშაო ადგილის მომამზადებლის შეცვლისას

The correct answer is: ბრიგადის შემადგენლობის ნახევარზე მეტით შეცვლისას

42) სამუშაო ადგილის მომზადება და დაშვება შეიძლება მხოლოდ ნებართვის მიღების შემდეგ, ვინ იძლევა ამ ნებართვას? (მუხლი 14 პ1) აირჩიე ერთი:

- a. ოპერატიულ-სარემონტო პერსონალი
- b. ოპერატიული პერსონალის ან ამისათვის უფლებამოსილი პირი
- c. განწესის გამცემი პირი

The correct answer is: ოპერატიული პერსონალის ან ამისათვის უფლებამოსილი პირი

43) ვინ განეკუთვნება ოპერატიულ პერსონალს? (მუხლი 2. პ. 42)

აირჩიე ერთი:

- a. ინჟინრები, ტექნიკოსები, ოსტატები, მუშები, რომლებიც აწარმოებენ ელექტროსადგურებისა და ქვესადგურების ელექტროდანადგარების, სგხე-ბის, სკეხ-ბის, სარელეო დაცვის, ავტომატიკის, მზომი ხელსაწყოების, მეხდაცვისა და იზოლაციის, დისპეტჩერული და ტექნოლოგიური მართვის საშუალებების საექსპლუატაციო-სარემონტო მომსახურებას და გამართვას
- b. ცვლაში სამორიგოდ მყოფი პირები, რომლებიც დაშვებულნი არიან ოპერატიულ მართვასა და ოპერატიულ გადართვებზე; დისპეტჩერები, ცვლის უფროსები, მორიგეები ბინაზე და მართვის ფარებზე, ოპერატიულ-გამსვლელი ბრიგადების წევრები

The correct answer is: ცვლაში სამორიგოდ მყოფი პირები, რომლებიც დაშვებულნი არიან ოპერატიულ მართვასა და ოპერატიულ გადართვებზე; დისპეტჩერები, ცვლის უფროსები, მორიგეები ბინაზე და მართვის ფარებზე, ოპერატიულ-გამსვლელი ბრიგადების წევრები

44) მოქმედი წესებით დასაშვებია თუ არა, სამუშაო ადგილის მომზადებასა და დაშვებზე ნებართვა გადაიცეს ტელეფონით? აირჩიე ერთი:

a. დიახ

b. არა

